ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2016 წლის 30 მარტი

დაბა ლენტეხი

,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24-თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 თებერვლის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/02/2016, 010250020.35.115.016192) და დადგენილების დანართის მე-2 თავის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მძიმე ავადმყოფებს, რომლებიც დაავადებული არიან:

ა) ონკოლოგიური დაავადებები მე-3 და მე-4 კლინიკური ჯგუფი, ქიმიო-თერაპიის შემდგომი პერიოდი. ფორმა №100 ონკოლოგიური ცენტრიდან;

ბ) ცერებრალური დამბლით და სხვა პარალიზებული სინდრომით;

გ) თირკმლის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, თირკმლის ქრონიკული უკმარისობით;

დ) ჰემიპლეგია;

ე) ტეტრაპლეგია;

ვ) შიზოფრენია;

ზ) უსინათლო - 1 ჯგუფის ინვალიდები;

თ) პარკინსონი;

ი) ეპილეფსია;

კ) გულის II ხარისხის უკმარისობა.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **მაიზერ ჩანქსელიანი**